№ 15 20 აპრილი 1873 20 აპრილი № 15

[stamp]


გაზეთის ფასი:

| | გაუგზავნით. | გაგზავნ. |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 6 მ. კაპ. | 5 მან. კაპ. |
| ნახევრის წლისა | 3 » » | 2 » 50 |
| სამის თვისა | — 1 » 75 | 1 » 50 |
| ერთის თვისა | — » » 60 | » » 50 |
| ცალკე ნომრისა | — » » 12 | » » 10 |

განცხადებანი, «დროებაში» დასაბეჭდათ, მიიღება სხვა და სხვა ენებზე. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივის ასოებით, სტრიქონზე 4 კაპ. და ასო-მთავრულებით—ასოზე 1/4 კაპ.


# დროება

## სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე


ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში: დროების რედაქციის კანტორაში (გ. წერეთლის. დაბამ სტამბაში, ბებუთოვის სახლებში).

ქუთაისში: გერასიმე კალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში)

გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილებები:

*Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты ВРЕМЯ», при типографіи Г. Церетели.*

გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.



ინარსი:

საქართველო: კენჭის ყრაზე.—წვრილი ამბები. —«დროების» კორრესპონდენცია: კახეთიდამ.— რუსეთი: წვრილი ამბები.—უცხო ქვეყნები: საფრანგეთი—პარიჟიდამ («დროებ.» კორრესპ.)-—ნარევი.

ფელეტონი: სხვათა შორის— ნ. ნიკანდელისა.


# საქართველო

## კენჭის ყრაზე

მოაწია კენჭის ყრის დრომაც; ჯერ აპრილი არ გათავებულა, ჯერ თავად-აზნაურობა არც კი შეკრებილა ქალაქებში კენჭის საყრელათა, მაგრამ ზოგან წყნარი და ჩუმ-ჩუმი ჩურჩული და ზოგან გაცხარებული ბაასი კი ეხლავე ისმის იმის თაობაზე—თუ ვინ უნდა ამოვირჩიოთ უეზდებისა და გუბერნიის წინამძღომლებათაო. განსაკუთრებით იმერეთი განთქმულია ამორჩევების აგიტაციითა და თეთრი და შავი კენჭების თამაშითა: არა მგონია, ნაპოლეონის უკანასკნელ დროს ყოფილიყოს საფრანგეთში ისეთი გაცხარებული მოძრაობა და თავის-ტეხა კანონმდებელი კორპუსისათვის დეპუტატების ამორჩევაში, როგორც იმერეთში არის ხოლმე უეზდებისა და განსაკუთრებით ღუბერნიის წინამძღომლის ამორჩევის დროსა!

რას მიეწერება ჩვენი საზოგადოებისაგან ამგვარი გაცხარებული მონაწილეობის მიღება მარშლების ამორჩევაში? ნუ თუ მართლა თავად-აზნაურობის წინამძღომლებს ისეთი მნიშვნელობა აქვთ საზოგადოებისათვის, რომ ღირსია, იმათი ამორჩევის დროს, კაცმა თავი შეიწუხოს და ხან-და-ხან გვერდებიც დაიზილოს? შეუძლიანთ განა წინამძღომლებს რომელსამე საქმეში თავად-აზნაურობის დახმარება და სიკეთის მოტანა? შეუძლიანთ იმათ რომლისამე საზოგადო საქმის წინ წაწევა და გაკეთება?

ამ კითხვებზე თვით კანონი გვიპასუხებს «დიახო.» კანონით, წინამძღომლები შუა-კაცები არიან მმართებლობასა და თავად-აზნაურობას შუა. იმათ შეუძლიანთ და უფლებაცა აქვთ, რომ თავის ამომრჩეველი თავად-აზნაურობის ყოველივე საჭიროება და მოთხოვნილება აცნობონ და შეასმინონ მმართებლობას; იმათ შეუძლიანთ რომელიმე საზოგადო კეთილი საქმე ათავებინონ და აკისრებინონ თავად-აზნაურობას; შეუძლიანთ იმ ერთს საქმეზე ჩამოაგდონ ლაპარაკი, ისეთი რამე განიზრახონ, რომელიც მთელი თავად-აზნაურობისათვის და მთელი ჩვენი ქვეყნისთვისაც გამოსადეგი და ფრიად სასარგებლო იქნება.

ერთის სიტყვით, თავად-აზნაურობის წინამძღომლებს ბევრი რისამე გაკეთება, ბევრი რისამე თაობა და შესრულება შეუძლიანთ.

ყოველივე ეს შეუძლია კარგს, რიგიან წინამძღოლს, ისეთს, რომელსაც თავის მოვალეობა და უფლება კარგათ ესმის და რომელიც ამ მოვალეობას პატიოსნათ ასრულებს.

ჩვენდა საუბედუროთ, ამისთანა წინამძღომლები ჩვენ ჯერ ძლიერ იშვიათად გვყოლია: მომეტებული ნაწილი ჩვენი წინამძღომლებისა მხოლოთ იმისთვის ცდილობდნენ წინამძღომლებად ამოერჩია თავად-აზნაურობას, რომ ამით თავის თავისათვის მოეტანა რაიმე სარგებლობა, და საზოგადო ინტერესი კი სრულიად არა ჰქონდათ მხედველობაში. ამის დასამტკიცებლად შეგვიძლია ის მაგალითი მოვიყვანოთ, რომ ყველაზე უფრო გაცხარებული ამორჩევითი ბრძოლა და კენჭისყრა ჩვენში მაშინ არის, როდესაც ან ომ მოელიან, ან სხვა რომელიმე ისეთი შემთხვევა, როდესაც თავად-აზნაურობის წინამძღომლებს მართლაც დიდი მნიშვნელობა მიეცემათ და როდესაც იმათ იმედი აქვთ, რომ შეუნიშნავნი და დაუჯილდოვებელნი არ დარჩებიან...

# ფელეტონი

## სხვათა შორის

(ჩვენი ფანტაზიელი კორრესპონდენტისაგან.)

პარიჟი, 28 მარტს (9 აპრილს) 1873.

ორი კორრესპონდენტის ბაასი.—პოლიტიკა.—დ. მიქელაძე და «ტრა-ლა-ლა-ლა!»—პარიჟში გასეირნება.—ორი პარიჟი.—ლეგიტიმისტის სურათი.—სხვა და სხვა პარიჟული გაზეთები და მათი მკითხველები.—ირონიას ვადლერგმელოთ!

— «როგორ მოვეწყოთ მე და შენ ისე, რომ ორივე «დროებისთვის» კორრესპონდენციებს ვსწერდეთ და ერთმანეთს კი ხელს არ უშლიდეთ? ვეკითხებოდით ერთმანეთს მე და თქვენი აქაური კორრესპონდენტი, დ. მიქელაძე; როგორ გავინაწილოთ შრომა ისე, რომ ორივეს ერთ და იმავე საგანზე წერა არ დაგვჭირდეს ანა და, ერთმა მეორის იმედით ზოგიერთი შესანიშნავი მოვლენა აუწერავი არ გაუშვათ?»—ამ კითხვით თავს ვინტრევდით ორივე, როცა გუშინწინ საღამოს პალეროიალის თეატრს მივადექით ერთი ახალი თხზულების მოსასმენათ.

ამ ახალ თხზულებაში ერთბაშათ და ხუმარათ გადათვალიერებული უნდა ყოფილიყო ყველაფერი, რაც კი ამ უკანასკნელი ხნის განმავალობაში შესანიშნავი რამ მოხდა. მწერლობა, თეატრი, საზოგადო ცხოვრება, ალებმიცემა, პოლიტიკა, ერთი სიტყვით ყველაფერი, რიგ-რიგათ თითქო რაზმი ჩამოივლის მაყურებლის თვალს წინ; ლაზათიანათ შეთქერილი და მასხარათ აგდებული, ზოგი უხეირო ბებრუხების კანში, ზოგი ჩინებულ ახალგაზდა ქალათ ქცეული, თითქო მთელი აქაური ცხოვრება კაცს ხელის გულზე გასაშინჯავათ დაედვას. ამისთანა თხზულებას აქ «მიმოხილვას» (revue) ეძახიან, და მართლაც უკეთესი, უფრო ადვილათ დამამახსოვრებელი და უფრო ხალისიანათ აკლებული და აკივლებული «მიმოხილვა» ძნელათ მოიძებნება სადმე.

სხვა მოქმედ პირებს—ესე იგი მოვლენებსშუა, სცენაზე ერთი ლაზათიანი ახალგაზდა ქალი გამოვიდა, მხიარული, ცოცხალი პირის სახით, მარჯვე აგებულებით და მიხვრა-მოხვრით. თავზე იმას, გვირგვინის მაგიერ, მოოქრული იარალი ეხურა, რომელიც ტრიალობს, საითაც კი ქარი შემოუბერავს და ჰაერის მყუდროების დროს კი ნიადაგ ცოდვილსავით კანკალობს. მისი ტანსაცმელი სამფერი იყო: მარჯვენით თეთრი ატლასის (მონარხიელების დროშის ფერი), მარცხნით ალის ფერი (რესპუბლიკელების) და შუაგულყვითელი ან ოქროს ფერი... მარჯვენივ უშველებელი ასოებით ეწერა სიტყვა მ ა რ ჯ ვ ე ნ ა მ ხ ა რ ე, მარცხნით—მ ა რ ც ხ ე ნ ა მ ხ ა რ ე, შუაზე კი არც ერთი პარტიის სახელი არ სჩანდა, ოქროს ბზინვის მეტი,—აქაოდა, ვისაც უფრო მეტი ფული აქვს, ვინც უფრო მეტს მომცემს, მისი ვარო. აქ-ე სხვა და სხვა გაზეთების სახელი ებეჭდა. ეს ახალ გაზდა ქალი — ამას ხომ თქვენ დიდიხანია მიხვდებოდით, — გახლდა პ ო ლ ი ტ ი კ ა.

მისმა შემოსვლამ მთელი საზოგადოება გაამხიარულა და გაალვიძა. მაგრამ როგორც კი იმან თავისი ხუმარა ლექსების სათქმელათ პირი გააღო, ერთმა მოთამაშემ ზარის რაწკუნი დაიწყო და სიტყვა შეუწყვიტა: . . .

. . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . .

მაშ, ბატონო რედაქტორო, იცოდეთ, რომ შემდეგისთვის ორმა თქვენმა პარიჟელმა კორრესპონდენტმა აი როგორ გაინაწილეს, ურთიერთის თანხმობით, კორრესპონდენციების წერა და გზავნა: მიქელაძე «დროებაში» თითქმის ყოველ კვირას გეწვევათ . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . მე კი ხანდახან გამოგეცხადებით ქალებზე, ბულვარის ცხოვრებაზე, თეატრებზე, წიგნებზე, მწერლობაზე, გაზეთებზე ერთი სიტყვით ისეთ უმანკო საგნებზე, რომლისთვის მღერა და ტრა-ლა-ლა-ლას ძახილი საჭირო არ უნდა იყოს. ხომ მოსაწონია ეს განაწილება? მაგრამ ის კი არ იფიქროთ, რომ მე უკეთესი ხვედრი ჩემთვის მიმეჩინოს. არა, ჩემო ბატონო. რომ გენახათ, რა საკვირველი ეშმაკური დაცინვით იცვლიდა ხმას გუშინწინდელი აქტრისა, როცა ტრა-ლა-ლა-ლას იმეორებდა, როგორი თვალმაქცობით იგრეხდა პირის სახეს, როგორ ოსტატურათ ტუჩს და თვალს ათამაშებდა, რომ დაგენახათ, რამდენ ნაირ მნიშვნელობას აძლევდა ის ამ უბრალო სიტყვას «ტრა-ლა-ლა-ლა,» მაშინ დამიჯერებდით, რომ სიტყვის გამოუთქმელათაც შეიძლება ლაპარაკი და აზრის გარდაცემა, მაშინ გაიგებდით, რისთვის შეიძრა მთელი თეატრი ამ ერთ უბრალო სიტყვაზე —ტრა-ლა-ლა-ლა.

მაშ მოდით, კლავში კლავი გამიყარეთ და გავისეირნოთ პარიჟში.

დილაა. ბულვარებზე ხალხი აჩქარებული სიარულით დაიარება. ეს იმის ნიშანია, რომ ჯერ შუადღე არ მოახლოვებულა, და ვინც

ეხლა ქუჩაზე შეგხვდება ყველა, საითმე მიიჩქარის, ყველას საქმე აქვს. უსაქმო ხალხს კი, იმას, ვისაც არც შრომა სჭირია, არც ჯაფა სჩვევია, ჯერ კიდევ ნაზათ სძინავს. ის პირველ საათზე გამობრძანდება, ზანტათ გაისეირნებს სხვის დასანახავათ და თავის თავის საჩვენებლათ, უფრო მეტათ კი მადის მოსაგვრელათ. იმისთვის ღმერთს დღეთ ღამე გაუჩენია.—ეხლა კი მოსაქმე ხალხი დაიქანცება, მიილტვის, თითქო მოვალეს იჭერდეს ან ექცეოდეს. ყავახანები თითქმის ყოველგან ცარიელები არიან. აქა იქ გამოხტება პარიჟელი ბიჭი, პოლიციელ მცველს წაეხახუნება, ერთს შეუკურხებს, მერმე მკლავ, ბასრ ოხუნჯობას გამოუგონებს და გაქრება, თითქო ეტლქვეშ გაქრაო. ეხლა პარიჟი შრომობს, ფიქრობს, ჭაპანს სწევს, ის პარიჟი, რომელიც მთელი ქვეყნის ყურადღებას იქცევს, მთელ ქვეყანას აღელვებს და აფიქრებს. მეორე პარიჟი, რომელიც აგრეთვე მთელ ქვეყანას ართობს და ათამაშებს, მთელ ქვეყანას აცინებს და აცვამს, ეხლა დაძინებული და ილაჯ-გაწყვეტილია. ის საღამოს გამოვა, ის შუაღამეზე ვარდივით გადიშლება და გათენების ხანს მიიძინებს.

რა ვნახოთ ეხლა პარიჟში, რა გაჩვენო ამ დილაზე, რა აგიწეროთ? ნუ თუ სამუშაო ოთახებში და ქარხანებში წაგიძღვეთ? ვაი თუ იმათი ჟანგით და ხმაურობით თავდაპირველშივე გასეირნების სურვილი სამუდამოთ მოგეკლათ? მაშ რა გაჩვენოთ? ბირჟა ჯერ დაკეტილია, თეატრები დღისით ცარიელებია, ხალხი ყოველგან გაცალ-ცალკევებულია, ქალებს სძინავთ. რა ვქნათ? ვიხეტიალოთ ბულვარებზე, მონუმონტები ვშინჯოთ, სასახლეები დავათვალიეროთ?

მაგრამ ყველაზე უფრო გასაკვირველი და შესანიშნავი ის არის, რომ თითონ ამომრჩეველი თავად-აზნაურობაც თითქო მარტო იმისთვის ირჩევს რომელსამე პირს, რომ ამით ამ კერძო პირს პატივის-ცემა, სახელი და სხვა რაიმე ღირსება შემატოს და არა იმისთვის, რომ ამ ამორჩევით თავის თავს შეეწიოს როგორმე!

ამ ორ-მხრივ (ამორჩეული პირისა და ამომრჩეველების) გაუგებლობისაგან წარმოსდგება ის ყოვლად საძაგელი და სათაკილო საქმეები, რომელიც კენჭის ყრის დროს ხდება ხოლმე ჩვენში, განსაკუთრებით იმერეთში: ამომრჩეველი ამოსარჩევ პირს ეუბნება: «მე შენ თეთრ კენჭს ჩაგიგდებ, წინამძღომელად ამოგარჩევ; შენ, ვისგანაც რიგია, პატივის-ცემა მოგემატება, დიდ ხარისხამდი აიწევ; მაგრამ მეც ნუ დამივიწყებ, მეც რამე წყალობა მიყავიო.» წინამძღომელიც ეთანხმება ამ ლოღიკას, და ამნაირათ კენჭის ყრის წინა დღეებში შეიქნება საჩუქრების: ცხენების, მაუდის ჩოხების, მეძებრების, ფულის და სხვა ყოველგვარი ქრთამის ერთი გაცხარებული გაგზავნ-გამოგზავნა და დაპირება! ტყუილათ კი არ ამბობენ იმერეთში, რომ ეს და ეს მარშალი ან კანდიდატი კენჭის ყრის შემდეგ გაღარიბდაო; ამა და ამ კაცმა ამდენი და ამდენი ჩოხა, ნაბადი და ცხენი გასცაო და სხ. ვის არ გაღარიბებს, ერთი მითხარით, რამდენიმე ასი ამომრჩევლის დასაჩუქრება! ჩვენ ვიცით ერთი ერთობ მომეტებული მშვიდობის მოყვარე იმერელი, რომელსაც თუმცა კენჭი აქვს, მაგრამ არასოდეს არ სარგებლობს ამ კენჭითა, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, არავის მომდურება და აყალ-მაყალში გარევა არ ჰსურს. ერთხელ ამ იმერელთან მეორე იმერელი მისულა და უთქვამს: «ბატონო, შენს ღმერთს დაამადლე, მომეცი მაგ კენჭი მე შე დალოცვილო, არც შენ ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ და არც სხვას აძლევ, შენ არ მომიკვდე, არაფერია! ბარე ორი ჩოხის ფასს გამოვრჩები და ქე გამომადგება ამ სიღარიბეში.»

როგორ სამწუხარო არ არის ამისთანა ამბები? როგორ სამწუხარო არ არის, რომ იმერეთის თავად-აზნაურობას ამგვარათ ესმის თავის წინამძღომლების დანიშნულება და ყოველს საზოგადო საქმეში მხოლოთ თავის განკერძოებულ ინტერესს დაეძებენ? ქართლ-კახეთში, როგორც გაგვიგონია, ღვთის მადლით, ამისთანა შემთხვევები იშვიათი არისო.

შესანიშნავია, რომ გუბერნიის მარშლათ ჩვენში თითქმის მუდამ ისეთს პირს ირჩევენ ხოლმე, რომელიც ან თავის გვარიშვილობითა, ან ჩინით, ან სიმსხვილითა, ან სიმაღლით და საზოგადოთ წარმოსადეგობით არის გამოჩენილი; კენჭის ყრის დროს, კაცის ღირსებას და ჭკუა-მიმართულებასა კი არ უყურებენ; მხოლოთ იმას აქცევენ ყურადღებას, რომ შეძლებული, კარგი გვარიშვილისა და წარმოსადეგი კაცი იყოს: თითქო არ შეიძლება, რომ რომელიმე კაცი არც თავადიშვილი იყოს, არც ღენერალი და არც წარმოსადეგი და თავად-აზნაურობის წინამძღომლობა კი ძალიან კარგათ მოახერხოს! თითქო გვარიშვილობა, სიმდიდრე და ჩინი აძლევს ადამიანს პატიოსნებას, ჭკუას და საზოგადო საქმეების სამსახურის სურვილსა!

უკანასკნელად გავიმეორებთ ერთხელ გამოთქმულ ჰაზრსა, რომ ძალიან კარგი იქნება თავად-აზნაურობამ თავის ღუბერნიის წინამძღოლს ჯამაგირი დაუნიშნოს, და ვინატრით, რომ წელს ქართლ-კახეთშია და იმერეთში თავად-აზნაურობას ნამდვილი, საზოგადო საქმეებისათვის გულ-შემატკივარი პირები ამოერჩიოს თავის წარმომადგენლებად და არა ისეთები, რომელთაც საზოგადო ინტერესი და თავის საკუთარი სიკეთე ვერ გაურჩევიათ ერთმანეთში...

ს. მ.

---

დამშეული სიღნაღის მაზრის მცხოვრებლების სასარგებლოდ, «დროების» რედაქციაში მოვიდა ქუთაისიდამ ა თ ი თ უ მ ა ნ ი და შ ვ ი დ ი მ ა ნ ე თ ი. ეს ფულები შემოსწირეს შემდეგ პირებმა:

გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსმა—15 მან., გერასიმე კალანდარიშვილმა—5 მ., დიმიტრი ჯანაშვილმა—5 მ., სტეფანე ძიმისტარიშვილმა—3 მ., სიმონ ყვიცარიძემ—2 მ, რაჟდენ გიგაურმა—1 მან., მიხეილ მაჭავარიანმა—1 მ., იოსებ ჭეიშვილმა—1 მან., ეპიფანე კალანდაძემ—1 მ., პეტრე პაპოვმა—1 მ, დარისპან ჭიჭინაძემ—1 მ., ნიკოლოზ ლოლობერიძემ—10 მან, ერეთეოზ სიდომონ-ერისთავმა— 10 მ., სიმონ ლოლობერიძემ—10 მან, მიხეილ ქიქოძემ—5 მ., ვასილ აბულაძემ—5 მ., დავით ბაქრაძემ—5 მ., თ. გიორგი აბაშიძემ—10 მ. დეკანოზ ივანე გამრეკელოვმა—5 მ., ივანე შავლიევმა—5 მ., დეკანოზ ტერ-დავით იარალიანცმა—5 მან., მღვდელმა სიმონ ჩარკვიანმა—1 მან.

ამას გარდა ლეჩხუმიდამ მოგვივიდა, მანანა გეხტმანის საშუალობით, ამავე საგნისათვის ო თ ხ ი თუმანი შემდეგ პირებში მოგროვილი: მანანა გეხტმან—6 მან., ნიკოლოზ გეხტმან—3 მან., გ. ბეზურიშვილი — 3 მან., ბაბილინისა—2 მ, ვასილიევი—1 მან., ბეს. აველიანი—1 მან., ბეს. ბაქრაძე—50 კაპ., ჩიქოვანი—50 კაპ, დ. ჩიქოვანი—20 კაპ. მ. ასათიანი— 20 კაპ., ნ. ჩ.—15 კაპ., ჯორჯ.—1 მან., ს. ლეონიძე—5 მან., პჶაჶი—3 მან, ნ. ზახაროვი—1 მ., კეს. ზახაროვისა—1 მ., ჩიკოვანი—50 კ., ბ. ბაქრაძე—1 მ., გაბიჭაძე—40 კ., გეგეჭყორი—1 მ.. პოლიკოვი—50 კ., ტიმი—1 მ, კ. გაბუნია—3 მ, გ. მესხი—1 მან., ხულ 39 მან. და 95 კაპ.

აქვე მოგვყავს სია იმ პირთა, რომელთაც ყვარელში მოუგროვებიათ ფული, უფ. ზაქარია ჯაფარიძის საშუალობით:

ივანე ჭავჭავაძემ—5 მან., კონსტანტინე გედევანოვმა—5 მან., ალექ[illegible]მა—3 მან., დიმიტრი ვ ხვახოვმა—3 მან., ესტატე ვახვახოვმა—2 მან., ლევან ჯორჯაძემ—3 მან., ნიკოლოზ ვაჩნაძემ—3 მან., დავით გოგნიევმა—2 მან., ნიკოლოზ რუსიევმა—1 მან., ასლან ვაჩნაძემ—2 მან., ზაქარია ჯაფარიძემ—2 მან., ნიკოლოზ ჯორჯაძემ—6 მან., დეკანოზმა ჩახნაევმა—3 მან.

სულ ს ა მ ი თ უ მ ა ნ ი და ც ხ რ ა მანეთი (1 მანეთი ფოშტის ფული). ამ გვარათ «დ რ ო ე ბ ი ს» რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი ს უ ლ—ო თ ხ ა ს ო თ ხ მ ო ც დ ა ც ა მ ე ტ ი მ ა ნ ე თ ი დ ა შ ვ ი დ ი შ ა უ რ ი (493 მ. და 35 კაპ. მოგროვდა.

* * *

«დროების» მე-13 №-ში გამოცხადებული იყო გაგონილი ამბავი რკინის გზის რტოს გაყვანაზე სარბევიდამ ქუთაისამდი. ამ პატარა შენიშვნაში ეწერა: «ამბობენო, რომ სარბევიდამ ქუთაისამდი რკინის გზის რტოს გასაყვანად მუშაობა დაუწყიათო.» ეხლა ჩვენ ნამდვილათ შევიტყეთ, რომ ეს ამბავი ტყუილია: მხოლოთ შარშან გაუკაფავეთ სარბევიდამ რამდენსამე საჟენზე ტყე და მას აქეთ ეს საქმე სრულიად გაყუჩებულია...

* * *

ამბობენ, რომ ქუთაისში ახალი სამოქალაქო გამგეობის შემოღებაზე არის ლაპარაკიო. მაგრამ, როგორც ისმის, ეს წესდებულება სრულიად იმგვარათ არ იქნება შემოღებული ქუთაისში, როგორც სხვა რუსეთის და აგრეთვე ზოგიერთ კავკასიის მხრის ქალაქებში. . . .

* * *

ქუთაისიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ ერთს იქაურს სოფელში წასულ კვირას, დღესასწაულზე, ქალაქიდამ ჩამოსულ სალდათებსა და იქაურ მცხოვრებლებს შუა ჩხუბი მომხდარა და ამ ჩხუბში ერთი რუსის სალდათი და ერთიც სოფლელი მოუკლავთ.

* * *

---

არა, ეს ჩვენი საქმე როდია. მოდი აი ამ სახლში შევიდეთ, აქ ბევრი რამაა სანახავი, ვისაც აქაური გონებითი ცხოვრების გაცნობა სურს

ჩვენ შევედიართ ერთ დაბალ ოთახში, რომლის ფანჯრები მონმარტრის ბულვარისკენ იხედებიან. თითონ ოთახი ფართო და გრძელია. შიგ, გარშემო ადამისხნის დივნები დგანან. შუაგულ ადგილას უშველებელი გრძელი სტოლი დგას, ადამისხნისვე მწვანე მაუდით გადაფარებული. ზედ თითქმის ყველა გაზეთები იპოვება, რომელიც კი პარიჟში იბეჭდება. გვერდით მეორე სტოლი დგას, რომელზედაც სხვა საფრანგეთის ქალაქების გაზეთები და სამზღვარ გარეთელი გამოცემები იპოვებიან ეს გახლავს «სალიტერატურო სალონი». აქ უშრომია არმან კარრელს და აქვე უწერია თავისი «პარიჟელი წერილები» ბორნეს. აქ გამოზდილა და დაიარაღებულა მთელი საფრანგეთის და თითქმის მთელი ევროპის მოწინავე, მოაზრე თაობა.

აი, ფანჯარასთან დივანზე წამოწოლილა ჩამომხმარი, ლურჯ სათვალებიანი მოხუცი. მისი ტანისამოსი ათას რვაას ოცდამერვე მოდაზეა გამოჭრილი და შეკერილი. თავზე ორიოდ-ღერი ჭაღარა თმა შერჩენია. ჩავარდნილ თვალებს მეტის მეტათ სქელი და გრძელი წარბი თითქმის ერთიანათ მალავს, მაგრამ ვერც ამ წარბების სისქე, ვერც ლურჯი ოთხ-თვლიანი სათვალეების სიბნელე ვერ მალავს ამ ჩავარდნილი თვალების ალს და მწარე, უგულღვიძლო, ხარბულ გამოხედულებას, იმ გვარს, როგორიც ხშირათ მოხუცებულ გაუთხოვარს ქალის პირის სახეზე აბეჭდია. მისი ჩაცვენილი ტუჩები, უფერული პირის სახე, ჩუმ-ჩუმი ქვეშ-ქვეშ, იეზუიტური გამოხედვა მაშინვე გვიმტკიცებს, რომ ამ კაცს მთელი მისი სიცოცხლე უფროსების შიშში და მოტყუებაში გაუტარებია.—ლაქია უნდა იყოს ვინმეო, იფიქრებს კაცი, ლიტერატურულ სალონში რომ არ იჯდეს ეს საბრალო და საზარელი ბებერი, და თან ღმერთს თაყვანს შესწირავს, რომ მისი ხელქვეითი და უცროსი არ არის, თორემ მისგან შებრალებას, მოთმენას, დათმობას, თავისუფლების შოვნას კაცი ვერ ეღირსება.—ნუ თუ ღმერთს ამის საიქიოსთვის მოთხოვა დავიწყებია? გამიარა თავში აზრმა, მაგრამ მე მალე მივხვდი, რომ ამისთანა საზარელი გვამის საიქიოს წაყვანა, ღმერთს კი არა, თვითონ ეშმაკსაც უნდა დაეზარებოდა.

მიუახლოვდით, ვნახოთ აბა, რას კითხულობს ეს ცოცხალ-მკვდარი?

ხელში იმას ველიოს «მსოფლიო» (l'Univers) უჭერია, და კალთაში «ერთობა» (l'Union) უძევს კლერიკალური (სახუცესო) მიმართულება ალბათ მასში ერთობ დაახლოვებია «ერთობის» (ლეგიტიმისტების) მონარხიულ ლტოლვას. ან ეს რა გასაკვირველია? პირველი გაზეთი ამტკიცებს, ღმერთმა ქვეყნიერება და საფრანგეთი რომის პაპას ჩააბარაო, და მეორე—რომის პაპის ბრძანების ასასრულებლათ თვითონ ღმერთმა შამბორის გრაფი (ბურბონი) დანიშნაო. იმედია, რომ იმათ ამაზე ჩხუბი არ მოუვათ: «შენ ბატონი იყავ, მე შენი მსახურიო,» ამას ხომ ბევრი ქაქანი არ სჭირია. მაგრამ რა კაი იქნებოდა, იმ დალოცვილ ღმერთს, რადგანც ამდენი განკარგულება უქნია, თავისი განკარგულება ისე საქვეყნოთ გამოეცხადებია, რომ არავის მისი სურვილის და ნების უარის ყოფა არ შეძლებოდა. თორემ ეხლა ბევრი ამბობს, რომის პაპისთვის ღმერთს ქვეყნიერება არ ჩაუბარებია და შამბორის გრაფი საფრანგეთის მეფეთ არ დაუნიშნავს.... გვერდით ამ ბებერს ორი გაზეთი უწყვია: «ქვეყანა» (le Monde) და «საფრანგეთის გაზეთი» (Gazette de France) ორივე სახუცესო და ბურბონების მონარხიის მომხრე. დანარჩენ გაზეთებს და მკითხველებს კი ეს კაცი ისე უყურებს, თითქო მათი დაკუშნა და დაგლეჯა ენატრებოდეს. უეჭველიც არის, რომ იმას და იმის თანამოაზრეებს ძალა და უფლება რომ ჰქონდეთ, არ გაატარებენ ქვეყანაზე არც ახალ-აზრს, არც ახალ მიმართულებას, არც ახალ თაობას. ასე, ყოველ მომაკვდავს ტანმრთელი და ახალგაზდა კაცის ჯიბრი სჭირს და დაკაწვრა სურს.

მის ახლო, აგრეთვე ფანჯარასთან და აგრეთვე დივანზე, ორი გაფუნთრუშებული, გასუქებული, ჩამრგვალებული, ღილაბიანი კაცი ზის, ორმოცდახუთი, ორმოცდაათი წლისა. ორივეს გვარიანათ აცვიათ, თუმც პერანგის საყელო კი ორივეს ერთობ ფართო აქვთ, თითქო სიმსუქნის გამო ორივეს დამბლის დაცემის ეშინია. ერთს ხელში «მზე» (le Soleil) უკავია, და მეორეს «ბაასი» (Iournal des débats). რავქნა, ეს ორი კაცი ყველფერში ერთმანერთს ჩამოგავენ, თითქო ტყუპი ძმები იყვნენ, და გაზეთებს კი სხვა და სხვას კითხულობენ! ორივეს ეტყობა, რომ ღმერთს მათთვის შეძლება არ მოუკლია, ორივეს პირის სახეზე სჩანს, რომ ისინი კარგათ სჭამენ, კარგათ სვამენ, თავს არაფერზე იწუხებენ, დარდი არაფრისა აქვთ და ფიქრის და მოაზრების მაგიერ, თავიანთი საყვარელი გაზეთის გამოსვლას უცდიან. რომ იმის აზრი და სჯა მიითვისონ და მისი რჩევით მოიქცენ. მაშ ერთი ორლეანების მომხრე «მზეს» რათ კითხულობს, და მეორე რესპუბლიკასთან შერიგებულ «ბაასის ჟურნალს?» ნუ თუ ეს ის ორი ძმაა (ლეფებრ პორტალის), რომელნიც ნაციონალურ კრებაში დეპუტატებათ არიან და რომელთაგანიც ერთი ორლეანისტებს უდგება და მეორე «თავდაკავებულ» (ესეიგი ალაგმულ) რესპუბლიკელებს? აქაოდა, რესპუბლიკა თუ დაარსდა ერთი ძმა აიწევა და მეორეს უპატრონებს, და თუ ორლეანები ტახტზე ავიდენ, მაშინ მეორე პირველს ხიდათ გამოადგებაო. ვინ იცის, ვინ იცის, იქნება ესენი ის დეპუტატები იყვნენ. მე კი, მართალი რომ ვთქვა, არც იმ დეპუტატების მწამს რამე, არც ამ ორი გაზეთისა.

აი, კიდევ, მშვიდობიანათ გასუქებული მაგრამ უფრო მაღალი და უფრო გონიერი პირის სახიანი მკითხველი. მის ძველ-მოდურ ტანისამოსს, მის დაუბოლოვებელ პერანგის საყელოს, მის უშველებელ ცხვირსახოცს თითქოს აბეჭდია, ეს მასწავლებელი უნდა იყოსო. ის მშვიდობიანს, ზანტათ დაწერილს, სხვა და სხვა უხეირო მოაზრებით სავსე «დროებას» (le Temps) კითხულობს, და მის პირის სახეზე მე თვითონ იმ სტატიას ვკითხულობ, რომელსაც ის მიჩერებია. გინდათ, დაგენიძლავებით, რომ შიგ აი ეს უნდა ეწეროს:—«ამ საგანზე ბევრი რამ ითქმის, სწავლულების და გონიერების აზრი იმაზე ჯერ არ დათანხმებულა. ზოგი ფიქრობს ასე, მაგრამ სხვები არანაკლები საფუძვლით ამტკიცებენ ამას; ჩვენის მხრით ვიტყვით, რომ ეს მძიმე საგანი

წლევანდელი მოსავლის თაობაზე გადაწყვეტით ლაპარაკი ჯერ კიდევ, მართალია, არ შეიძლება, მაგრამ რაც შეეხება ამინდებს, თითქმის ყველა მხრიდამ კარგი და სანუგეშო ამბები მოდის. განსაკუთრებით იმერეთში კარგი მოსავლის იმედი აქვთ.

* * *

წარსულ კვირაში ქუთაისში რუსის სცენის მოყვარულებმა, იქაური უფასო შკოლის სასარგებლოდ, რამდენიმე ვოდევილი წარმოუდგენიათ. არც ამ პიესებზე და არც მომეტებულ ნაწილ მოთამაშეებზე კარგის არაფრის თქმა არ შეგვიძლია და ცუდის თქმას, სულ გაჩუმებას ვამჯობინებთ.

ჩვენ გავიგონეთ, რომ იმდროისთვის, როდესაც თავად-აზნაურობა შეიკრიბება ქუთაისში კენჭის საყრელად, ქართული სცენის მოყვარეები რამდენიმე წარმოდგენის გამართვას აპირებენო.

* * *

ჩვენ მიგვივიდა ახალციხიდამ ანნა მესხელოვისაგან, გაზეთში დასაბეჭდათ, ერთი წიგნი, რომელსაც დიდის სიამოვნებით ვბეჭდავთ და თან ვაცხადებთ სურვილს, რომ ამ უფ. მიხ. მეფისაშვილის მაგალითისათვის სხვებსაც მიებაძოს:

«მოწყალეო ხელმწიფევ
ანნა ბესარიონოვნა!

მოგეხსენებათ ჩვენი ძველი ქალაქის ჩვეულება, რომ, როდესაც ვინმე გარდაიცვლება, რა შეწუხებაში ვარდება ჭირისუფალი; იმ დროს განსვენებული ავიწყდება და იმას ფიქრობს, არ შერცხვეს ხალხთან, და მოუმზადოს კარგი სადილი მკვდრის განსვენების დღეს. ახლა წარმოიდგინეთ, თუ რა ძნელი უნდა იყოს ამ გვარი მდგომარეობა ჭირისუფლისთვის. დღეს გარდაიცვალა ბიძა ჩემი, მღვდელი ტერ გრიგოლ მეფისაშვილი, და ასე ვარჩიე: ნაცვლად ზემოთ აღნიშნული ჩვეულობის აღსრულებისა, ის ფული, რომელიც უნდა დასარჯულიყო სადილის პურის ჭამისთვის, მოვახმარო კეთილ საქმეებზედ. ამ კეთილ საქმეებთაგანიც ერთი არის თქვენგან დაფუძნებული უფასო უმაწვილო ქალების სასწავლებელი, რომლის სასარგებლოთ ამასთანავე მიახლებია ო რ მ ო ც დ ა ა თ ი მან. და გთხოვთ მიიღოთ და მოიხმაროთ, როგორც საჭიროება მოითხოვს...

დავშთები თქვენი... მიხაილ პავლეს ძე მეფისაშვილი.»

---

## «დროების» კორრესპონდენცია

**კახეთიდამ, 26 მარტს**

უფ. რედაქტორო! გაზეთს «დროებაში», რომელიც იბეჭდება თქვენს ხელთმძღვანელობასა ქვეშე, არის დაბეჭდილი სხვათაშორის რამოდენიმე სტატია სიღნაღის მაზრის შიმშილზედ. ამ სტატიებში საკმაოთ გამოცხადებული და გამორკვეულია საზოგადო შიმშილი და ეხლანდელი მდგომარეობა იქაური ხალხისა, ამ შიმშილის გამო; მაშასადამე ჩემი თქმა, თუმც იქმნება მხოლოდ დამატება, მაგრამ მაინც კიდევ ვიტყვი რამოდენსამე სიტყვას.

ამას წინათ თვით მე და ერთს ჩემს ამხანაგს, სამსახურის გამო, მოგვიხდა ყოფნა სოფ. ბოდბის-ხევში, და იქიდგან გასვლა ქიაურის ტყეში. ამნაირათ მომეცა შემთხვევა, რომელმაც ნათლად მიჩვენა ის შიმშილი და სამწუხარო მდგომარეობა, რომელშიაც არის ჩავარდნილი იქაური ხალხი, შარშანდელის მოუსვლელობის გამო. მოკიდებული ბოდბის-ხევიდამ ვიდრე ალაზნის პირამდის, იყო მოდებული დიდი და პატარა დედაკაცობა მინდვრებზედ, და რაღასაც ყველანი გულ-მოდგინეთ ეძებდნენ და სთხრიდნენ. ეტყობოდათ, რომ საჭმელ ბალახს ეძებდნენ. რანაირათ შემაწუხა და შემივიწროვა გული ამ ამბავმა, არ შემიძლიან გამოთქმა, ან კი რა საჭიროა, და ან რომელი კაცი, რაც უნდა გულ-გრილი და გულ-მაგარი ყოფილიყო, არ შეწუხდებოდა ესრეთის საქმის დანახვით!.... მეტადრე მაშინ, როდესაც ეცოდინებოდა, რომ ამოდენი ხალხი განსაკუთრებით ამ ბალახით იკვებებიან, და ეს არის ამათი საზრდო!... მე მოვინდომე დალაპარაკება დედაკაცებთან და გამოკითხვა მათი; დავაყენებინე ტროიკა, მივახლოვდი ერთ გროვას და ღმერთო, რა სახეები დავინახე! რა მწუხარება იყო გამოხატული იმათ თვალებში! —რომ ვსთქვა, მკვდრის ფერად იყვნენ, მეთქი, ცოტა იქნება; ზოგიერთი ამათში თითქმის ლასლასებდა და ძლივსღა იდგა ფეხზედ.

შემდეგ, ამ საქმის მნახველი, ძალიან გაკვირვებული დავრჩი, როდესაც წავიკითხე ერთი სტატია რუსულ გაზეთში «Кавказъ»-ში, რომელიც თითქმის სრულებით ეწინააღმდეგება შიმშილსა და ამ მდგომარეობასა სიღნაღის მაზრაში. სტატია კინაღამ ამტკიცებს, ქიზიყში, არათუ შიმშილი, არამედ პური უხვათ არისო, და მოჰყავს ანგარიში, რა პური რა ფასათ იყიდება ქ. სიღნაღის მოედანზედ. მე არა ვარ იმის წინააღმდეგი; იქნება მართლადაც სიღნაღის მოედანზედ მრავალი პური იყოს და ისყიდებოდეს, მხოლოდ რა უნდა ჰქნას და რა ისარგებლოს იმ საწყალმა ხალხმა, რომელსაც არავითარი ღონის-ძიება არა აქვს და რომელსაც უკანასკნელი წლის საზიდი კოკებიც კი დაუყიდნია თითო მჭადის პურზედ? ვინ ამბობს: სიღნაღში პური იყიდება, იყიდება მრავალი; ეს კი არის, რომ ამ პურს ყიდულობს ფულიანი და შეძლე, სხვა სიღნაღში მცხოვრები ვაჭარი კაცი, და საწყალი გლეხი კი... აბა სად გაიმართოს ან ფულით, ანუ პურით—სესხობრივ?! რატომ ეს არა აქვთ სახეში და რატომ არ იციან, რომ, როდესაც კაცი ამ საცოდაობაში ჩავარდნილა, მოუსვლელობის გამო, თუ სხვა მიზეზით, იმისთვის ხელი აღარავის აღარ გაუმართავს, ყველანი შემოსცილებიან...

დავბრუნდით თუ არა ჩვენს ადგილს, გაუცხადე ჩემს აქ მყოფ ამხანაგებს, რაც ვნახე და რაც ზემოთა ვსთქვი, და შემდეგ ურთიერთის მოლაპარაკებით დავსდევით ფულის გამოღება. ამნაირათ მოვაგროვეთ ორმოცი მანეთი ჩვენს მცირედ საზოგადოებაში, რომელსაც გიგზავნით, და გთხოვთ, რომ ეს ფული მიაქციოთ სიღნაღის მაზრის დამშეულის ხალხის სასარგებლოდ. აგრეთვე გთხოვთ ამ წიგნს ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთში.

თ. ზაქარია ჯაფარიძე.

ქვარელის სამაგრე, 1873 წ.

---

## რუსეთი

გაზეთს «ხმაში» სწერენ, რომ მთავრობა 300, 000 მანეთის დარიგებას უპირებს სამარის, ნიკოლაევისა და ბუზულუკის უეზდის გლეხებს, რომელნიც შარშანდელი მოსავლის სიმცირისა გამო, ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან თურმე. ამ ფულებს მთავრობა კი არ აჩუქებს, ასესხებს სამი წლის ვადით, უსარგებლოთ.

* * *

ტაგანროღში ამ უკანასკნელ დროს გავარდა ხმა, რომ პოლიციას ვიღაც ორი ჩინოვნიკისათვის მოუგნია, რომელნიც ყალბ პასპორტებს აკეთებდნენო და ამ პასპორტით სტამბოლს აგზავნიდნენ ქალებს, გასასყიდლათაო... ამ საქმის თაობაზე გამოძიებაა დანიშნული.

* * *

ყაზანის გუბერნიის ერთს უეზდის ერობას უთხოვნია მთავრობისათვის, რომ ჩვენს სოფლებში ვალდებულებითი სწავლის შემოღების ნება მოგვეცესო.

* * *

პენზენის გუბერნიაში ხუთმეტ სოფლის კრებას გადაწყვეტილება დაუდგენია და პირობა დაუდვიათ, რომ დღეის შემდეგ არც ერთმა გლეხმა არაყი არ დალიოთო, და რაც სამიკიტნოებია, დავხუროთო.

* * *

---

ასე ადვილათ როდი გადაწყდება. თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ....მაგრამ..ვინ იცის, იქნება სხვა რამეც ითქმებოდეს. ისევ ის სჯობს, საქმე უწინდელურათ დავტოვოთ, რადგანაც აჩქარებითა ქვეყანა არავის მოუჭამია.»

ააშენა ღმერთმა ამის დამწერი. რა ნელათ და ტკბილათ ჩააძინა მკითხველი! მოისმის წყნარი მოსვენებული ხვრინვა. გაამოსთ!

კუთხეში პაწაწა სტოლთან ზის მოსული, სქელ ბეჭებიანი, მარჯვე მხრიანი კაცი, ისე თავისუფლათ, თითქო მისმეტი არავინ იყოს ამ სახლში. ის ხან წამოდგება, ხან გაივლის და გამოივლის, ხან გადაწვება დივანზე, მაგრამ უფრო ხშირათ კი გამბეტის გაზეთს «საფრანგეთის რესპუბლიკას» (la Republique Française) კითხულობს, და თან რაღაცას სწერს. მივიდეთ, ვნახოთ რას. ჰო, ეს პროვინციალური გაზეთის თანამშრომელი ყოფილა, რესპუბლიკელი, და რადგანაც რესპუბლიკელი პარტიის დისციპლინა ერთ მოქმედებას და ერთ აზრობას თხოულობს, ეს თანამშრომელიც იმ გაზეთს ჰკითხულობს და რჩევას კითხავს, რომელიც მთელ რესპუბლიკელ პარტიას ტონს და მიმართულებას აძლევს, და რომლის რჩევას ყურს უგდებენ და მიჰყვებიან თითქმის ყველა ფრანცუზული რესპუბლიკელი გაზეთები, არათუ მარტო პროვინციებში, მაგრამ თვით პარიჟშიაც.

ვისაც აქაური რესპუბლიკური პარტიის მიმართულების აზრის, შეხედულობის და განზრახვის გაცნობა სურს, იმან ამ გაზეთს ხელი უნდა მოკიდოს, და მის სტატიებში თავისი კითხვების პასუხს ნახავს. მაგრამ ეს კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს გაზეთი როგორც ის პარტია, რომლის წარმომადგენლადაც ის გამოდის, მარტო, ან, უფრო სწორეთ ვთქვათ, უფრო ფორმალური, გარეგანი კითხვების განმხილველია, ვინემ იმ შინაგანი, ნამდვილი ცვლილებებისა, რომელსაც მოითხოვს ამ დროების სული და მიმართულება. ის იმას კი არ დაეძებს, თუ როგორ და რაში უნდა შეიცვალოს საზოგადობრივი ცხოვრება და გაწყობილება, ჩვეულება და მდგომარეობა,—მისი უმთავრესი საგანი მარტო გარეგანი პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცვლილებაა მმართველობის წესში... ამ მხრით კი, მართალი რომ თქვას კაცმა, ძლიერ ბევრი და ჩინებული აზრები და რჩევა გამოთქვა ამ გაზეთის რედაქციამ.

ამავე მიმართულების, მაგრამ უფრო ხალისიანი და სასიამოვნო საკითხავია «მოხმობა» (le Rappel) ვიქტორ ჰიუგოს მეგობრების გაზეთი. შიგ უმეტესი ადგილი მწვავ დაცინვას და ლირიკულ დაფასებას უკავია. მისი სტატიები უფრო აღელვებენ და აცეცხლებენ მკითხველს, ვინემ აჯერებენ ან მტკიცე საფუძველს აძლევენ. მაგრამ ამ გაზეთს მაინც ძლიერ ბევრი კითხულობს და დიდი გავლენაც აქვს საზოგადოებაში.

უფრო შესანიშნავია, მაგრამ მარტო პარიჟში და უმთავრეს ქალაქებში «კორსერი» (le Corsaire), რომელიც მოწინავე რესპუბლიკელი პარტიის და სოციალისტების წარმომადგენელია. ამ გაზეთს დიდი გავლენა აქვს მუშა ხალხზე და ახალ გაზდობაზე, რადგანაც მის სტატიებში ძლიერ ხშირათ სჩანს მარჯვე და ღრმა შეხედულება საზოგადო საქმეებზე, სწორი და ნამდვილი გამჭრიახობა და მკაცრი გაჩხრეკა მოწინააღმდეგე პარტიებისა. მაგრამ ზოგიერთ მის სტატიებში განსაკუთრებით საზოგადობრივ საქმეებზე, უფრო ხშირათ ფუჭი დეკლამაცია იმის, ვინემ ნამდვილი საქმის ცოდნა და დასკვნა. ამ რიგია, მაგალითად, სახელგანთქმული «ალცესტის» სტატიების....

ამ ორ გაზეთს ყველაზე უფრო მეტი მკითხველები ჰყავს ამ სალიტერატურო სალონში, როგორც პარიჟშიაც, განსაკუთრებით თუ ჩვენ ყურადღებაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი სხვა გაზეთები, რომელსაც დიდ-ძალი ხალხი კითხულობს, თავიანთი მიმართულებით, ან თავიანთი სტატიების სივარგისით კი არა, იმ გარემოებით იმარჯვებენ, რომ მათში ძლიერ ჩქარა და ძლიერ ბლომად ახალი ამბები იბეჭდება. ამ გაზეთების კაცს არა სწამს რა. მათ ერთომ ხელმძღვანელ სტატიებს თითქმის არავინ კითხულობს. მათში მარტო უთვალავ წვრილმან ამბებს ეძებენ, ოხუნჯურ ანეგდოტებს, ლაზღანდარობას და სხვ. და ამნაირათ იმათ თითქმის არავითარი პოლიტიკური და ზნეობითი გავლენა არა აქვთ. ამნაირია, მაგალითად le (Figaro, la Liberté, le Gaulois, le Soir, l'Evenement) და სხვ. იმათგანი ორი უკანასკნელი რესპუბლიკელია, პირველი უფერული ლეგიტიმისტურია, მეორე—დაფარულათ ბონაპარტისტული და მესამე—აშკარა მოყვრე ნაპოლეონისა.

ამათგარდა ჩვენ ვხედავთ, რომ სტოლზე თითქმის ხელ-უხლებლათ ჰყრია l'Ordre, le Bien public, l'Etat, l'Avenir National, le Français, le National, le Siècle, l'Espérance, le Paris Jurnal და სხვ. და სხვ. ამ გაზეთებს მკითხველების მეტი არა აკლიათ რა, მაგრამ—ისიც მოხდება ხანდისხან, რომ ჩემისთანა მსუნაგი მკითხველი, წელიწადში ერთხელ-ორჯერ, იმათ ხელს მოჰკიდებს და გადაათვალიერებს. ამ გაზეთებს ზოგს სხვა და სხვა გადაგდებული ხელმწიფეები სცემენ, ზოგს კაპიტალისტები—ბირჟაზე ხმების დასაყრელათ, ზოგი კი ძველი ჩვეულებით იბეჭდება, ძველი ხელის მომწერლების შემწეობით.

გვერდით კიდევ ზიან ზოგი ახალგაზდა, ზოგი მოწიფული მკითხველები. ეტყობა, რომ იმათ თავიანთი გაზეთები გადაუკითხავთ და ეხლა დროს ჰკვიანათ ატარებენ ხალისიანი და ოხუნჯური გაზეთების კითხვაში. ზოგი Charivari-ს კითხულობს, ან მის ნახატებს ათვალიერებს, ზოგი Tintamare-ს, ზოგი რას და ზოგი რას. შეგინიშნავთ თქვენ, როდესმე, რომ ძველ თაობას, უქმურ მიმართულებას სიცილი, კასკასი და ოხუნჯობა სცოდნოდეს, ან ეხმაროს? ხომ არა? ასე აქაც. აქ თითქმის ყველა ხალისიანი და ოხუნჯური გამოცემაები რესპუბლიკური მიმართულების არიან. და გაქვს სიცოცხლე, ისინი თავიანთი დაცინვით და ოხუნჯობით ძველ თაობას მწარე ოფლს ადენინებენ სიტყვით, პროზით ლექსით, ნახატით, ერთი სიტყვით ყოველნაირი იარაღით, ყოველნაირი საშუალებით. უნდა ნახოთ რა ხშირათ იღიმებს ამ გამოცემების მკითხველი, როგორი გადარეული ხარხარით სწყვეტს ის ხანდისხან თავის კითხვას, რა მხიარული სახით აძლევს ის გაზეთს თავის უცნობ მეზობელს, და რა მწვანე ფერი ედება მაშინ ლურჯ სათვალებიან, თვალებ ჩაცვენილ ბებერს! ვადღეგრძელოთ მხიარულება, დაცინვა, ირონია და სარკაზმი, ვილოცოთ მათ სიმრთელეზე . . .

. . . . . . . . . . . . . . .

ნ. სვანდელი

ამბობენ, რომ პეტერბურღში ერთი დიდი საზოგადოება სდგება, რომელსაც რუსეთის გუბერნიებში სასოფლო ბანკების გამართვა განუზრახავს. ეს საზოგადოება, რომელიც ასი მილიონი მანეთის აქციების გამოშვებას აპირებს, მამულებს, სახლებს, ხე-ტყეს და აგრეთვე პურს მიიღებს გირაოთა.

* * *

გასულ 23 მარტს გავიდა ათი წელიწადი მას აქეთ, რაც თერგის მაზრის უფროსად ღენერალ-ადიუტანტი მიხაილ ტარიელისძე ლორის-მელიქოვია დანიშვილი. «თერგის უწყებაში» იწერებიან, რომ 23 მარტს ვლადიკავკაზში ეს დღე დიდის ამბით უდღესასწაულებიათ: თითქმის ყველა თერგის მაზრის ქალაქებსა და საზოგადოებას ფული მოუგროვებიათ და «ლორის-მელიქოვის» სახელობაზე სხვა და სხვა სასწავლებლების გამართვას და სტიპენდიების დანიშვნას აპირებენო.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

პარიჟი, 31 მარტი.

საფრანგეთის მმართებლობას—როგორც სჩვევს—ერთი ძალიან შესანიშნავი თვისება აქვს; არ შეიძლება, რომ ყოველ თავის რეაქციონურ, უსამართლო მოქმედებას ლოთუოდ თავისუფლების და საზოგადო სარგებლობის ფარდები არ მოახვიოს თავზედ. რაკი მაღალი პრინციპით შემოსეს საზიზღარი საქმე, მერმე მათი ნაწარმოები ბურჟუაზული მირონით არის მონათლული და მაზედ ლაპარაკიც საფრთხილოა. ეს იმისთვის ხდება, რომ ჯერ ჭეშმარიტ ხალხის მეგობარს და უანგარო წრეს არ ჩავარდნია ხელში ხალხის მართვა. თუმცა სამჯერ იყო ცდა, რომ ხალხის გამგებლებათ ნამდვილი მისი ინტერესის წარმომადგენელი კაცები ყოფილიყვნენ, მაგრამ, უთანხმოებისა, გაუბედველობისა და გამოუცდელობის გამო, მათ ნიადაგ დაუკარგავთ უფლება. . . .

ყველა ესენი, მოუძლურებული საზოგადოების ძირის შერყევისთვის იყვნენ დამარცხებულნი კონსერვატორებისაგან. აი, ახლაც ამ «საზოგადოების შეუხებლობის» სახელით, საფრანგეთის მწერლობა ძალიან შევიწროებულ მდგომარეობაშია. საკმაოა რომელიმე პრეფექტის ბრძანება, რომ გაზეთი ან სხვა რომელიმე გამოცემა აღკრძალონ. ვინ ჰკითხულობს, რამდენათ არის ამნაირი განკარგულება სამართლიანი? რას იზამთ! სამხედრო მდგომარეობაში ვართო, გიპასუხებენ. რა საჭიროა ეს სამხედრო მდგომარეობა მაშინ, როდესაც მტერი არსაით არის? ვისი ეშინიათ? ამაზედ თქვენ, რასაკვირველია, დასაკმაყოფილებელ პასუხს ვერ მიიღებთ. ცხადია, რომ ყველა ამნაირი ზომები შინაური თავისუფლების მოძრაობის შესალაგმავად არის გამოგონილი, რომ, სამართლიანის აზრების გაგონებით, ხალხი არ აღელვდეს და არ გაირეკოს მხრები თავისი სისხლის მსმელებისაგან.

რესპუბლიკელი დეპუტატები ბევრს ცდილობდნენ პალატაში და ჟურნალისტიკაში, რომ აეხსნათ სამხედრო მდგომარეობა და ამნისტია მიეცათ ხალხისთვის, მაგრამ ტყუილად. ამათგან რომ არც სამართლის, არც მოწყალების იმედი არ უნდა ჰქონდეს დემოკრატიას, საკვირველია, როგორ არ ესმის ეს რადიკალურ პარტიას?

ერთი ლაპარაკი ატეხა აქ «რაპპელის» პროცესმა, ედუარდ ლოკრუას სტატიაზედ, სადაც ეს ჩინებული მწერალი ამბობდა იმპერიის ცუდს გავლენაზედ ხალხისთვის და რესპუბლიკის სასარგებლო მნიშვნელობაზედ. «იმპერიამ დაგვღუპა და გვიხსნა მხოლოდ რესპუბლიკამაო», ამით აბოლოვებს ლოკრუა თავის სტატიას, შესახებ პრუსიელებთან პირობის შეკვრისა.

ეს ორლეანის მინისტერისთვის (შინაგანი საქმეების მინისტერი—გულარი) საკმაო იყო, რომ მაშინვე სამართალში მიეცა «რაპპელის» რედაქცია. ამ სტატიაში, პროკურორის სიბოროტემ ისეთი რამ გამოსძებნა, რომელიც სრულიად იქ არ იპოვებოდა. მაგრამ, პროკურორებისგან ეს არ არის ახალი. ლოკრუას ვექილი ამტკიცებდა, რომ სტატია მხურვალე პატრიოტის გრძნობის შედეგი არისო, რომ იქ, გარდა ნამდვილი საბუთებისა, არა არის რა და საიდგან გამოჩნდა გამამტყუნებელმა უფლებამ სამოქალაქო ომის ქადაგება, მიუწდომელი საქმე არისო». მაგრამ სასამართლომ «რაპპელის» მმართველს, პელლპორსა და ლოკრუას, თითოეულს 500 ფრანკი ჯარიმა დაადვა და თითო თვის ტუსაღობა. ეს კარგი მაგალითია მათთვის, ვისაც კიდევ სჯერა ტიერის მართებლობის სიკეთე. იქნება ამისთანა მაგალითებმა აუხსნას თვალი ამ უფერულ და უმტკიცო აზრის წრესა?

ამას წინეთ კონსერვატორული გაზეთები აღკრძალა პარიჟის ღუბერნატორმა. მეორე დღეს ნაციონალურ კრებაში მონარხიელებმა ჰკითხვა მისცეს ამ საგანზედ მინისტერს, სადაც რესპუბლიკური მხარე თანხმობას აცხადებდა პრესსის თავისუფლებისათვის და მონარხიელების თხოვნას ამითი ძალა მოემატა. «ჩვენ ვთხოულობთ სტამბის სრულს დამოუკიდებლობას, როგორც ჩვენთვის, იგრეთვე ჩვენი წინააღმდეგებისთვის»—სთქვა გამბეტამ. მაგრამ ასე არ მოქცეულან მონარხიელები, როდესაც რესპუბლიკური გაზეთების აღკრძალვაზედ ილაპარაკა რამდენიმე დღის შემდეგ მარცხენა მხარემ. ამ უბრალო მაგალითიდგან ნათლათა სჩანს ორივე პარტიის ღირსება და პატიოსნება.

---

როდესაც კაცი ვერსალის დეპუტატების მოქმედებას უყურებ, ასე გგონია: ესენი, სწორეთ ვისმეს დანიზლავებიან, რომ უთუოდ შეაძაგონ ხალხს თავის თავი და იმასა ცდილობენ, რომ არასოდეს აღარ ამოირჩიონ არავითარ საზოგადო თანამდებობაში. რაცკი რამ დაბრკოლება შეიძლება თავის ამომრჩევლებისთვის, დარწმუნდით, არას დააკლებენ. თუნდა ეს მაგალითი, რომ მსოფლიო გამოფენაზედ ვენაში, მუშების გასაგზავნათ ნაციონალურმა კრებამ ასი ათასი ფრანკი არ გამოიმეტა—არ გვამტკიცებს მათ ცხად წინააღმდეგობას ხალხის წარმატებაზედ?

თქვენ კარგათ იცით, რომ რუსეთი და ოსმალეთიც კი გზავნის თავის მუშა ხალხს ამ გამოფენაზედ და რესპუბლიკური (ვითომ) პალატა უარს ჰყოფს ამ ნაირ სასარგებლო და თან მცირედს ხარჯზედა. «ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო», ისეა ესენიც; ტყუილად სვრიან რესპუბლიკის სახელს. «სად სად ბერი ცხენი, სად ჭრელი უნაგირი?» რაღა დროს ბროლი, პაკიეს, ტიერის რესპუბლიკელობის დროა? ყველა კბილები ძველი წესის დაცვაში ჩასცვენიათ და ეხლა მოდიან და ასულელებენ ხალხს: «ჩვენ შენი მეგობრები ვართო». ახალ ღვინოს ახალი ჭურჭელი სჭირიან, ახალ აზრს ახალი თაობა! პალატას, თავის ქვეყანაში წარმოების, ვაჭრობისა, კეთილდღეობის გასავრცელებლად შეშურდა ასი ათასი ფრანკი მაშინ, როდესაც ორლეანის პრინცებს უსიტყვოდ ჩაუჩხრიალა ჯიბეში ასი მილლიონი. . . . . . . .

---

ერთი ძვირფასი და ყველასთვის წასაბაძველი ჩვეულება აქვს აქაურს საზოგადოებას: ეს დახმარება ყოველს შემთხვევაში, როდესაც საჭიროება მოითხოვს. ამ ნაირი თვისებისაგან, ყველას დიდი სარგებლობა მოსდის—ნულარ ვიტყვით კაცობრივ მოვალეობაზედ ერთი მეორეს შეწევნისთვის. საჭიროა, რომ ჩვენი საზოგადოება იმის მაგიერად, რომ გადმოიღოს პარიჟელი ხელთათმნები, შლაპები, პერანგები, ამ პატიოსან და ყოვლად ჰუმანურ თვისებას მიიღებდეს, და შეეწიოს თავის დაჩაგრულს მოძმესა. მე არ მგონია, რომ ჩვენ ქართველ ხალხს გულკეთილობა აკლდეს, რომ იმან დაშუროს უკანასკნელი თავისი ლუკმაც მეგობრისთვის, მაგრამ ინიციატივას, რომ ეტყვიან, ის არა გვაქვს და! ამ შემთხვევაში, ლიტერატურის საქმეა ამხილოს საზოგადოებას, აუხსნას მას ურთიერთის შეწევნის დაუფასებელი სიკეთე და, მე არ მჯერა, რომ უნაყოფოთ ჩაიაროს რომელსამე კეთილ და პატიოსან საქმეზედ მოწოდებამ.

ყოველთვის, როდესაც იმისთანა საქმე ამოჩნდება, სადაც მართებლობა არ მონაწილეობს და თითოეულს პირს არ შეუძლია იკისროს, მაშინვე გაზეთები ხსნიან ხელის მოწერასა თავის რედაქციაში და რამდენიმე დღეს, თითო-ოროლა გროშით, ჰხედავ შესრულდა დიდათ სასარგებლო განზრახვა! ასეა ახლაც: «კორსერმა» გამოაცხადა, რომ «ჩვენ მოვიწვევთ საზოგადოებას გამოიღონ ფული, ვენაში მუშების გასაგზავნათ, რადგანაც ეს ნაციონალურ სარგებლობას და პატივს შეეხებაო და ჩვენ დარწმუნებული ვართ, გაგონილი იქნება ჩვენი ხმაო». მართლაც, ორი დღის განმავლობაში 7 ათას ფრანკზე მოაწერეს ხელი და ეჭვი არ არის, ძალიან მცირე ხანს შეიკრიბება, არა თუ ასი ათასი ფრანკი, მეტიცა. კიდევ ვიმეორებ: სამწუხაროთ, ჩვენი საზოგადოება მხოლოდ განათლების წვერებსა ჰხედავს და ჰბაძავს ევროპას ისეთ რასმეებში, რომელსაც წმინდა გარეგანი მნიშვნელობა აქვს; განათლების სული—კაცის აღმამაღლებელი პირუტყვზედ, დამამშვენებელი მისის ზნეობისა, ჩვენ ნაკლებათ გვგვეგება. თუ გვსურს პატივის მოპოვება, მომავალში ნათელი ცხოვრება, თათქირიძობას, რუსეთუმობას, გაიძვერობას და ყალბ განათლებას უნდა დავანებოთ თავი საუკუნოთ.

ხალხის ისტორიაში არის ისეთი წამები, როდესაც, თუ არ შეუხვია საზოგადოებამ იმ გზას, რომელზედაც დგას, მერმე იმისი მობრუნება ათას მთავარ ანგელოზებსაც აღარ შეუძლიან. იქნება ჩვენ ეს ჟამი გვადგია ეხლა? იქნება ჩვენს ენერგიაზედ, ამ წამში, იყოს დამოკიდებული ჩვენი ბედი? იქნება დაგვიანებით და ქართველური სიზანტით, თითონვე ვუმზადებდეთ ჩვენს თავს ისეთს ორმოს, საიდგანაც არასოდეს აღარ გვეღირსება სინათლის დანახვა, წმინდა ჰაერით სუნთქვა? ყველა ესენი მოსაზრებაა, მაგრამ ჩემთვის კი ნამდვილია. ამაზედ დაფიქრება, ვგონებ, ღირდეს; რას იტყვით?

---

პრინც ნაპოლეონის საჩივარი ნაციონალურმა კრებამ უყურადღებოთ დააგდო. ბონაპარტიელები ძრიელ ჯავრობენ, მაგრამ ცა, ვგონებ, მაინც არ ჩამოინგრეს! .

. . . . . . . . . . . . . .

დ. მიქელაძე.

# ნარევი

მარტის 12-ს ლონდონში სიკვდილით დასაჯეს ერთი ქალი, სახელად ანნა კოტტონ, რომელსაც თავის სიცოცხლეში ცამეტი სული მოუკლავს; იმათ რიცხვში თავის ორი ქმარი და რამდენიმე შვილი. ამერიკაშიაც დასაჯეს ამას წინათ ერთი ამის მგზავსი დედაკაცი, მაგრამ ამას მხოლოდ ცხრა სული მოუწამლავს...

* * *

ამას წინათ პრუსიის პალატის ერთმა დეპუტატმა (ლასკერმა) გამოააშკარავა ეშმაკობა, რომელშიაც ჩადიოდნენ სხვა და სხვა მმართებლობის პირები და განსაკუთრებით ვაგენერი, როდესაც რკინის გზის კამპანიებში იღებდნენ მონაწილეობას. ამ გამოაშკარებამ განსაკუთრებით ვაგენერს სულ მოუღო ბოლო ასე, რომ ბერლინში «ვაგენერის» სახელს ეხლა საგინებლად ხმარობენ თურმე. ამას წინათ ბერლინის ბირჟაზე ორი ვაჭარი წაჩხუბებულიყვნენ; ერთს დაუძახია მეორესთვის: «ა შენ ვაგენერო, შენა!» მეორე ვაჭარი ისე გაბრაზდა თურმე ამაზე, რომ უჩივლა.

ჩვენშიაც რომ ჩვეულებად შემოვიდეს სხვა და სხვა სახელებით შეგინება, ღმერთო ჩემო, როგორ გადიდდება მაშინ შესაგინებელი ლექსიკონი!..

* * *

მოსკოვის ოლქის სასამართლოში ამას წინათ არჩევდნენ ორი პატარა ყმაწვილის საქმეს, რომელთაც თავის პატრონისათვის ბევრი მოეპარათ და შეეჭამათ. სასამართლოში აღმოჩნდა, რომ ეს ვაჭარი (ფაბრიკანტი) თითქმის შიმშილით სულს აძრობდა თურმე თავის პატარა მუშებს და ქურდობის მიზეზიც ეს ყოფილა. ამ საქმის გარჩევის დროს, თვითონ პროკურორმაც სთქვა, რომ ეს ბიჭები შესაბრალისნი არიანო. სასამართლომ ორივე ბიჭი გაამართლა; ნაფიცებმა მოჰკრიბეს იმათთვის 37 მან. და გადასცეს დ ა მ ნ ა შ ა ვ ე ე ბ ს.

* * *

ჩინეთის სატახტო ქალაქში პეკინში ამას წინათ ერთი მაღლა წოდებული კაცი მოჰკლეს და, თუმცა დიდხანს ეძიეს, მაგრამ ვერ მონახეს. ბოლოს მკვლელი თავის ნებით მოვიდა სასამართლოში და გამოაცხადა, მე მოვკალიო, მაგან ამ თორმეტი წლის წინათ მამა ჩემი დასაჯა სიკვდილითაო და ჯიბრი ამოვიყარეო. —ამდენი ხანი რატომ არ მოჰკალიო? ჰკითხეს თურმე მოსამართლეებმა. დამნაშავემ უპასუხა, რომ ამდენი ხანი დედა ცოცხალი მყავდა და ეს კაცი რომ მომეკლა, მაშინ მეც დამსჯიდნენ და დედა ჩემს დამმარხველი არავინ ეყოლებოდაო. სასამართლომ, ამ ნაირი დედის სიყვარულისათვის, ეს დამნაშავე სრულიად გაათავისუფლა დასჯისაგან.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ჟამად 530 ექიმი ქალია, რომელნიც ყველგან მიღებული არიან და ჩინებულათაც აქიმობენ თურმე: მარტო ნიუიორკში 5 ქალი ადვოკატია და 68 მქადაგებელი. ამას გარდა მკითხველმა იცის, რომ ამერიკის თითქმის ყველა სასოფლო შკოლებში მასწავლებლებად მარტო ქალები არიან და ზოგიერთს შტატებში ისინი მომრიგებელ-მოსამართლეების თანამდებობას ასრულებენ.

* * *

როგორც სჩანს, ამერიკაში რედაქტორობა და გაზეთის გამომცემლობა ძალიან სასარგებლო და ფულის მომცემი საქმე ყოფილა. ეს გასაკვირველიც არ არის, რადგან ამერიკაში, მგონი, კაცი ვერ ნახოთ, რომ ერთს გაზეთს მაინც არ იბარებდეს და არ ჰკითხულობდეს. შარშან მიცვალებულ «ნიუიორკის მოამბის» რედაქტორს, ბენნეტს, ამას, რომელმაც ერთი თავის თანამშრომელი გაგზავნა თავის ხარჯით აფრიკაში, გამოჩენილი მოგზაურის ლივინგსტონის მოსაძებნელად, ოცი მილიონი დოლარი, რამდენიმე საკუთარი სახლი და ათი ცხენის გემი დარჩა თურმე. სხვა სამი გაზეთის გამომცემლებს თითოს უკანასკნელი 12—15 მილიონ დოლარამდი აქვთ შეძლება...

* * *

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Апрѣля, 1873 г. გ. წერეთლის და ამხ. სტამბაში. გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. რედაქტორი ს. მესხი.